

ზოგადი რეკომენდაციები სამართალდამცავი უწყებებისთვის

DRI
დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
DEMOCRACY RESEARCH INSTITUTE
2023

;ბავშვების ბულინგისგან დაცვა ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობის საკითხია და ბავშვთა უფლებების დაცვის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, მათი საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბავშვთა დაცვის მექანიზმები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა უწყების კოორდინირებულ მუშაობას, მათ შორის კი წამყვანი როლი, სწორედ სამართალდამცავ სტრუქტურებს აქვთ.

ბულინგისა და ონლაინ ბულინგის შემთხვევების პრევენციის, რეაგირებისა და გამოძიებისთვის, სამართალდამცავი სისტემის პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს პოლიციელების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია
სამართალდამცავი სისტემისთვის ბულინგისა და ონლაინ ბულინგის
აღმოსაფხვრელად ზოგადი რეკომენდაციები.

სამართალდამცავი სისტემისთვის ბულინგისა და ონლაინ ბულინგის აღმოსაფხვრელად ზოგადი რეკომენდაციები

- უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება ქუჩებსა და სხვა ადგილებში, სადაც ბავშვები და ახალგაზრდები ერთად იკრიბებიან და დროს ატარებენ;
- ბავშვის კონფიდენციალურობის პატივისცემა;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება;
- ბავშვთა უფლებების პროფესიონალთა მულტიდისციპლინურ გუნდთან მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების ჩართვა;
- ბულინგისა და ონლაინ ბულინგის შემთხვევების პრევენციის, აღმოფხვრისა და გამოძიების ეფექტური სამუშაო პროგრამების შემუშავება. პროგრამები მორგებული უნდა იყოს ბავშვის ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებს;
- ძალადობითა და ინტერნეტძალადობით დაზარალებულ ბავშვებთან მუშაობის მეთოდოლოგიის შემუშავება. ბავშვებთან საუბრისას სამართალდამცავი ორგანოები მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ფსიქოლოგებთან და სოციალურ მუშაკებთან.
- განსაკუთრებით დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერა.
- ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საჩივრების შეტანისა და შეტყობინების სანდო, პოპულარული, კონფიდენციალური და ხელმისაწვდომი მექანიზმების ჩამოყალიბება და განვითარება.
- სამართალდამცავ სისტემასთან პირველი კონტაქტიდან და მთელი პროცესის განმავლობაში ბავშვზე მორგებული სისტემის უზრუნველყოფა:

- -გამომძიებელს უნდა ჰქონდეს კომპეტენცია ბულინგისა თუ კიბერბულინგის მსხვერპლ ბავშვთან საუბრისთვის. მან უნდა იცოდეს, როგორ დასვას კითხვები ბავშვთან და გამოავლინოს ბავშვის მიმართ პატივისცემა, გაითვალისწინოს ბავშვის საჭიროებები, აზრები და გრძნობები.
- სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა იზრუნონ პოლიციის გენდერული მგრძნობელობის ამაღლებაზე;
- პოლიციის თითოეულ განყოფილებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვთა ოთახები, ბავშვისთვის მოსახერხებელი სივრცით.

- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მონიტორინგის სისტემის შექმნა.

- ძალოვანი უწყებების მიერ ბავშვების მიმართ ბულინგისა და ონლაინ ბულინგის შესახებ საჭირო მონაცემების შეგროვება.
- ბავშვების პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა მათი დამუშავების პროცესში, განსაკუთრებით ამ მონაცემების ღია ხელმისაწვდომობისგან დაცვა.